ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპლიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

# განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" თანახმად, 2015 წლის 10 იანვრიდან სახანძრო-სამაშველო სამსახური გადადის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში, რაც გახდა საფუძველი გამგეობის დებულებაში ცვლილების შეტანის და სახანძრო-სამაშველო სამსახურის ლიკვიდაციისა.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის გამგებელი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში ნინო ვაჩეიშვილი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გამგებელი: ირაკლი კუჭავა

*პროექტი*

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"–**

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**2014 წლის 24 ივლისის**

**№19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ ქვეპუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში (სსმ, 28. 07. 2014წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

**მუხლი 1**.

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტიდან ამოღებულ იქნას „ი)" ქვეპუნქტი.

**მუხლი 2.**

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლიდან ამოღებულ იქნას მე-9 პუნქტი.

**მუხლი 3**.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 16 აგვისტოს N 27 დადგენილება.

**მუხლი 4**.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანხრო-სამშველო სამსახურში პირადი შემადგებლობის სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ"-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 16 აგვისტოს N28 დადგენილება.

**მუხლი 5.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: ნინო ვაჩეიშვილმა

*პროექტი*

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ”– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის № 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ”– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის #19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ”– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის #19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*პროექტი მოამზადა: ნინო ვაჩეიშვილი*

# დასკვნა

**,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის #19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების შესახებ**

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ და საქართველოს კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ მე–20 მუხლის მე–4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ მიღებულია ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

**ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული**

**განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია**